საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაღრაძე გუგული ამბერკის ასული

გ. მაღრაძე

მაღრაძე გუგული ამბერკის ასული (დ. 9. IV. 1945, წყალტუბო), ფსიქოლოგი. ფსიქოლ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1981). დაამთავრა თსუ-ის ფსიქოლოგიის (1968), დას. ევროპის ენებისა და ლიტ-რის (ინგლ. ენა, 1974), სამართლისმცოდნეობის (1997) ფაკ-ტები. მუშაობდა დ. უზნაძის სახ. ფსიქოლ. (1969–78) და საქართვ. მეცნ. აკად. სამართლის (1978–81) ინ-ტებში. 2000–06 იყო სოც. ფსიქოლ. კათედრის გამგე, 2006-იდან – თსუ-ის კონფლიქტოლოგიის ინ-ტის დირექტორი. ასევე მუშაობდა დავით აღმაშენებლის სახ. უნ-ტში (პრორექტორი, 1997–2000), ეკონომიკურ ურთიერთობათა ინ-ტში (საზოგადოებრივ მეცნ. კათედრის გამგე, 1994–98), აშშ-ის ჯორჯ მეისონის უნ-ტის მოწვეული პროფესორი; 2004-იდან 2020-მდე იყო საქართვ. მე-6, მე-8 და მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი.

მ-მ ექსპერიმენტების საფუძველზე გამოიკვლია კონფორმიზმი და განიხილა სოც. გავლენა სხვადასხვა მოვლენებზე დ. უზნაძის განწყობის თეორიის პოზიციიდან. აჩვენა, რომ სოც. გავლენა ორმხრივი პროცესია, რ-შიც უმცირესობაც სერიოზულ როლს ასრულებს. იგი მონაწილეობდა სოც. აქსიომების ეთნოკულტურული თავისებურების გამოვლენაზე მიმართულ მასშტაბურ კროსკულტრულ კვლევაში. გასული საუკუნის 90-ანი წლებიდან ინტენსიურადაა ჩართული კონფლიქტების კვლევის სფეროში.

თხზ.: სოციალური ჯგუფისადმი განწყობა და კონფორმულობა, თბ., 1988; კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა, თბ., 2005; სოციალური გავლენის ფსიქოლოგია, თბ., 2007; ჰიბრიდული ომი და 21-ე საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოების

პრობლემები, თბ., 2020; Cultural Encounters and Emergent Practices in Conflict Resolution Capacity-Biulding, Z. 2020.

ი. იმედაძე